რეკომენდაციები ფესტივალის მონაწილეთათვის

1. **ავთენტიკური ფოლკლორული ჯგუფები** - სინკრეტულად, ერთობლიობაში წარმოაჩენენ თავისი კუთხის ავთენტიკურ ფოლკლორულ ტრადიციებს (სიმღერას, ცეკვას, ქმედებას, საკრავს და ა. შ.); ხშირ შემთხვევაში ეს არის **სოფლის მცხოვრებთა ჯგუფი,** რომელსაც ხანდახან ანსამბლსაც ვერ ვუწოდებთ, რადგან არა ჰყავს ლოტბარი და არც რომელიმე კულტურულ თუ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებობს, არამედ, ორგანულად მატარებელია თავისი კუთხის ფოლკლორული ტრადიციებისა და ბუნებრივ ყოფაში ინახავს მათ. ფესტივალზე ავთენტიკური ჯგუფები წარმოადგენენ **5 ფოლკლორული ნიმუშის ვიდეოჩანაწერს.**

2. **ხალხური სიმღერის, სიმღერისა და ცეკვის მუნიციპალური ანსამბლები** -
   - უპირატესობას ანიჭებენ თავისი კუთხისა და მუნიციპალიტეტის ტრადიციულ რეპერტუარს;
   - იცავენ ხალხური სიმღერის კუთხურ საშემსრულებლო მანერასა და შესრულების ფორმას: ორპირულ სიმღერას ორპირულად ასრულებენ - ორგუნდოვად ან ტრიო-გუნდის მონაცვლეობით;
   - წამყვან ხმებს მღერის თითო სოლისტი;
   - ყველა სიმღერას ჰყავს ერთი დამწყები;
   - საფერხულო სიმღერა სრულდება ფერხულით;
   - ცეკვა და სიმღერა ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს.

სიმღერის ანსამბლები წარმოადგენენ 10 ნიმუშის, ხოლო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები - **5 ქორეოგრაფიული და 5 მუსიკალური ნიმუშის** (*<u>შენიშვნა:</u>* თუ სიმღერა და ცეკვა ერთობლიობაშია, მაშინ - სულ 10 ნიმუშს) **ვიდეოჩანაწერს.**

3. **ქორეოგრაფიული ანსამბლები** - წარმოადგენენ **3 ფოლკლორული ან/და სასცენო ხალხური ცეკვის ვიდეოჩანაწერს:** სოლოს, ჯგუფურს ან/და მასობრივს; აქედან ერთ-ერთს, აუცილებლად, თავისი კუთხისთვის დამახასიათებელს.
   - ანსამბლებმა უნდა დაიცვან ქართული ხალხური ცეკვისათვის დამახასიათებელი კუთხური თავისებურებანი: მოძრაობები, ხასიათი და საშემსრულებლო მანერა, ტრადიციული წეს-ჩვეულებანი, ცეკვის სასცენო დამუშავების (დადგმის) მხატვრული კანონზომიერება.
   - ყურადღება უნდა მიექცეს შესრულების ტექნიკას, სინქრონს, ეროვნულ სამოსს.

- დაუშვებელია ერთი კუთხის კოსტიუმის, საცეკვაო ლექსიკის, მუსიკის მეორეში აღრევა და გამოყენება (მთიულური მოხეურში, ფშაური ხევსურულში, თუშურში და სხვა).
- სასცენო შესამოსელში ყურადღება უნდა მიექცეს ტრადიციული ქართული ფერების გამოყენებასა და მათ ურთიერთშეხამებას
- დაუშვებელია ფონოგრამის გამოყენება - ცეკვა უნდა შესრულდეს ხალხური საკრავებით ან შესაბამისი სიმღერით.

4. **საოჯახო ანსამბლები** - წარმოადგენენ **ფოლკლორული ან ქალაქური სტილის 5 სიმღერის ან 5 საგალობლის ვიდეოჩანაწერს.**

5. **სიმღერისა თუ ცეკვის ინდივიდუალური შემსრულებლები** (საკრავის თანხლებით და უთანხლებოდ) – ფესტივალზე წარმოადგენენ **3 საშემსრულებლო ნიმუშის ვიდეოჩანაწერს:**
   - ასრულებენ ფოლკლორულ ნიმუშებს;
   - იყენებენ ტრადიციულ (დიატონურ) ხალხურ საკრავებს.

6. **ხალხურ საკრავთა ტრადიციული ანსამბლები** - იყენებენ ტრადიციულ საკრავებს და მათს ურთიერთმიმართებას, როგორიცაა: ჭუნირი და ჩანგი, ფანდური და დოლი ან დაირა; გარმონი და დოლი... აგრეთვე, დასაშვებია ქალაქური ტიპის დასტებისა და საზანდრების (ზურნის, დუდუკის, დოლის გამოყენებით) მონაწილეობა. ფესტივალზე ისინი წარმოადგენენ **3 საშემსრულებლო ნიმუშის ვიდეოჩანაწერს.**

7. **მგალობელთა ჯგუფები** წარმოადგენენ **10 ტრადიციული საგალობლის ვიდეოჩანაწერს.**
   - აღმოსავლეთ საქართველოს მგალობელთა გუნდებმა უნდა წარმოადგინონ, უმეტესად, ქართლ-კახური სკოლის საგალობლები (შესაძლებელია, ერთი-ორი ნიმუში სხვა სკოლებისაც - გელათის ან შემოქმედის).
   - დასავლეთ საქართველოს (გურიის გარდა) მგალობელთა გუნდებმა უნდა წარმოადგინონ უმეტესად გელათის სკოლის საგალობლები (შესაძლებელია, ერთი-ორი ნიმუში ქართლ-კახური ან შემოქმედის სკოლისა).
   - გურიის მხარის მგალობელთა გუნდებმა უნდა წარმოადგინონ, ძირითადად, შემოქმედის სკოლის საგალობლები (შესაძლებელია, ერთი-ორი ნიმუში ქართლ-კახური ან გელათის სკოლისა).

8. **მთქმელები, ავტორ-მთქმელები, შემკრებნი** - ყურადღებას აქცევენ და წარმოაჩენენ **ზეპირსიტყვიერების ყველა დარგს:** პოეზიას (ყველა ჟანრი), ზღაპარს, მითს, ლეგენდას, ანდრეზს, თქმულებას, თამაშობებს, შელოცვებს, წყევლის, დალოცვის, დატირების ნიმუშებს, საკულტო ტექსტებს, სახალხო ისტორიებს, ანდაზებს, გამოცანებს, ყბის საქცევებს, ანეკდოტებს, ავტორ-მთქმელთა ლექსებს და სხვა. მათ უნდა წარმოადგინონ **10 საავტორო ან ფოლკლორული ნიმუში** ელექტრონულად ან ფიზიკური სახით.

9. **ხალხური რეწვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ხალხურ საკრავთა ოსტატები** - ფესტივალზე ელექტრონულად აგზავნიან მაქსიმუმ **10 ნაშრომის ფოტოს.** მონაწილები, შესაბამისად, წარმოადგენენ ყველა დარგს: ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, მეთუნეობა; ლითონის (საიუველირო ნაწარმი, ჭედურობა, იარაღი, ქამარ-ხანჯალი, ცხენის აღკაზმულობა), ხის, ქვის, ძვლის, ტყავის (ავეჯი, საოჯახო და დეკორატიული ნივთები, ხალხური საკრავები) მხატვრული დამუშავება; წნული, ქსოვა-ქარგულობა და ხატოვანი ქსოვილები (ხალიჩები, ფარდაგები, გობელენები, ლურჯი სუფრები, ნაქარგობანი, საგებელ-საფარებლები, ჯეჯიმი, ჭილოფი, თექა, ნაბადი, ეროვნული ტანსაცმელი, თავსაბურავი), ფეხსამოსი (წინდები, პაჭიჭები, ჩითები, ქალამნები), თოჯინები, ორიგინალური ჟანრი (თანამედროვე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები არაორდინარული მასალის გამოყენებით: ნიჟარები, ბუმბული, აბლაბუდა, მცენარის თესლები, ხის ქერქი, თევზის ფხა და სხვა).